



— აჲ რომ მატყუებ, ბაზარში მოსვლა არ ვინღა?!

ქველსახელი მსხალი

მოგახსენებთ, ზოგიერთ ძველ ქართულ ზღაპარში ვაშლი სასწაულმოქმედ ხილად არის მიჩნეული. იგი წარმოადგენს როგორც ბედნიერების, ისე უბედურების სიმბოლოს. ზღაპრების გმირებს ვაშლი წარმოუდგებათ გამაცოცხლებელ წამლად და მომავლიდნებელ საწამლავადაც. ერთი სიტყვით, ხის ნაყოფს დიდი ძალა აქვს ზღაპრებში. ჩვენს მოთხრობაშიც მთავარ როლს ხილი ასრულებს. მაგრამ არა ვაშლი, არამედ მსხალი.

— აი, როგორ დაიწყო ეს ამბავი:

— რა მსხალია, ბიჭო! — შესძახა აღტაცებით საქხილბოსტნის გეგეჭკორის რაიონის დამზადების კანტორის ერთმა გამგებელმა და ქარვისფერი ნაყოფი ხელში შეათამაშა.

— ერთი შენცა ხარ ბედოვლათი, — გულღვარძლიანად დასცინა მეორე გამგებელმა, — ისე შესციცივებ მაგ ღორის სათქველევს თითქოს ოქრო იყოს!

— სწორედ რომ ოქროა, ამხანაგებო! ოქრო კი არა და, შეიძლება ნატვრისთვალადაც იქცეს იგი ჩვენს ხელში.

— ბევრს ნუ ტლიკინებ, თქვი, რისი თქმაც გასურს. — დააჩქარა ვილაცამ.

— აი, რა: ჩვენს რაიონში ყველაზე ჯიშთან მსხლად კაიფერა ითვლება. დამზადებისათვის კილოგრამ მსხალში 50-დან 55 კაიკს ვიხდით.

— თუ მოსახლეობას ნაღდ ფულს მივცემთ და ერთბაშად გავუსაღებთ მთელი წლის მოსავალს, მოგვცემენ თუ არა მსხალს შეღავათიან ფასებში?

— დიახ, მე დარწმუნებული ვარ, მოსახლეობისაგან ხილს, 20-25 კაპიკად შევიძენთ... შემდეგ შევავსებთ ქვითრებს უმადლესი ფასებით და სალაროდან ორმაგ ფულს მივიღებთ.

დამზადების კანტორის მესვეურთ გამოცოცხლება დაეტყვოთ, თვალეები გაუბრწყინდათ.

გავიდა დრო. ერთ მშვენიერ დღეს გეგეჭკორის დამზადების კანტორის გამგებლებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი, ეს თავყრილობა მიზნად ისახავდა მოხვეჭილი ფულის რაოდენობათა ურთიერთგაცნობას.

— თქვენი არ ვიცი და, ჩემმა ჯაღოსურმა მსხალმა

4.091 მანეთი შემიძინა. — სიამაყით განაცხადა გეგეჭკორის დამზადების პუნქტის გამგემ **გივი ილიას ძე გამცემლიძემ**.

— შენი მსხალი მთლად სასწაულმოქმედი ვერ ყოფილა, ჩემო გივი, — ნიშნისმოგებით გასძახა კოლეგას სოფ. გაჭედლის დამზადების პუნქტის გამგემ **იური აკაკის ძე თავლაძემ**, — 9.194 მანეთი მიბოძა მე ჩემმა კაიფერამ.

— 10.096 მანეთი — აი, ჩემი მოგება! — გაუზვიადებლად, მოკლედ მოჭრა სოფელ ნაჯახოს დამზადების პუნქტის გამგემ **მამია მაკარის ძე დანელიამ**.

— მე ცოტათი მიჯობნია შენთვის, მამია ბატონო, — თავმოძრონდ გაუღიმა ამხანაგს სოფელ ბანძის დამზადების პუნქტის გამგემ **ანზორ ბაგრატის ძე მიქაიამ**, — ჩემი შენაძენი 10.228 მანეთს შეადგენს.

მერე და, მაგას იკვებნით? — თავი გამოიღო სოფელ აბედათის დამზადების პუნქტის გამგემ **სოსო გრიგოლის ძე გვილაყამ**, — რა არის ათი ათასი?! აგერ მე 43.511 მანეთი გავაკეთე და თავს გაკეთებულად მაინც ვერ ვგრძნობ!

— რას დაჭამეთ, ხალხო, ერთმანეთი! — ფარული სიამაყით დაიწყო სოფელ ხუნწის დამზადების პუნქტის გამგემ **გენადი ვარლამის ძე**

დანელიამ, — ხომ იცით, მჯობნის მჯობნი არ დაილევო. მე ყველა თქვენგანზე მეტი ფული გამოვძალე ჩემს ჯაღოსურ მსხალს, მაგრამ არ ვტრაბახობ. 66.988 მანეთი რომელ ერთს გაგაჩინათ?!

— იყუჩეთ, მეწვრილმანენო, — მედიდურად გადმოსძახა კოლეგებს გეგეჭკორის დამზადების ცენტრალური პუნქტის გამგემ **შაქრო სპირიდონის ძე ჩიხლაძემ**, — ნათქვამია, ქართველს ნატვრის შნოც არ ჰქონდაო. ხელთ ნატვრისთვალი გიპყრიათ და არ იცით, როგორ გამოიყენოთ იგი. ჩემთვის მაინც მოგებაა: 80.000 მანეთი ცოტაა განა?!

— კარგი, გეყოთ კინკლაობა! — თქვა ერთმა. — ვისაც რა უშოვნია, ღმერთმა შეარგოს. მე ახლა ის მაინტერესებს, სულ რამდენი მანეთი შეგვიძინა ამ მართლაც ჯაღოსურმა მსხალმა. გაჭკრეს-გამოჭკრეს საანგარიშოს და მათ თვალწინ კარგა მოზრდილი ციფრი გამოიკვეთა: 224.108 მანეთი.

— ბიჭოს, ძველი ფულით ეს თანხა ორი მილიონ ორას ორმოცდა ერთი ათას ოთხმოც მანეთს შეადგენს, ყოჩაღ ჩვენი!

— ჩვენ ყოჩაღ, მაგრამ რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც ხელი შეგვიწყეს ოცნების განხორციელებაში? — წარმოსთქვა ერთმა.

— სწორია, — განაგრძო მეორემ, — მაგალითად, მოლარე უკტება იასონის ძე თოდუასაგან დიდადა ვართ დავალებული. ფულს უღუნ პარაკოდ გვადლევდა, მითითებითი ქვითრებით. აგრეთვე უნდა ვუმადლოდეთ ინკასატორებს ამირან დავითის ძე დგებუაძესა და ვახტანგ რაუფენის ძე წოწონავას, რომლებსაც სალაროდან ფული გამოჰქონდათ და ადგილზე გვირიგებდნენ.

— არც მალაზიის გამგებმა ვაგვიწყის ნაკლები სამსახური, — საუბარში ჩაერთო მესამე, — ილია იოსების ძე შაშელაშვილი, ელენე სერგის ასული გულუა და გურამ ვარლამის ძე დანელია სიამოვნებით აწარმოებდნენ უსაქონლო ოპერაციებს. ისინი ხილის ნაცვლად ჩვენგან იღებდნენ ფულს, შეჰქონდათ ბანკში. თვითონაც გეგმას ასრულებდნენ და ჩვენც ხელს გვიწყობდნენ კომბინაციების და გვირგვინებაში. მათ 45.667 კილოგრამი მსხლის ფიქტიური მიღება გააფორმეს. სახუმარო საქმეა?

— განსაკუთრებით მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ საქხილბოსტნის გეგეჭკორის დამზადების კანტორის დირექტორი, ღვთისნიერი და ფრიალ კეთილშობილი ადამიანი — **ალექსანდრე ლევანის ძე გალდავა**. ჩვენი გამდიდრება მისი წყალობითაცაა.

შვიდეულის სჯა-ბაასი დამთავრდა.

ჩვენც დავამთავრებთ ჩვენს მოთხრობას ერთი ზღაპრის ერთი ეპიზოდით: გრძნეულ დედაბერს სურდა მოეკლა მზეთუნახავი. მან თავის მსხვერპლს მიაწოდა ჯაღოსური ვაშლი, მოკბიჩა თუ არა მზეთუნახავმა ვაშლი, ლუკმა ყელში გაეხირა და მას დაეძინა სიკვდილის ძილით.

„ჯაღოსურმა მსხალმა“ კაიფერამ ზღაპრის მსგავსად ცხოვრებაშიც გამოავლინა თავისი მეორე, უარყოფითი თვისება და იგი ჩვენი მოთხრობის გმირებს გულზე დაადგა.

უპატიოსნოდ შექნილი ლუკმა კი გულზე ადგება იმას, ვისაც გული არა აქვს.

გაიოზ შავერუაშვილი



მე ვიყევი და ვაზროვნებდი. მოულოდნელად კარგმა აზრმა გამიელვა. მანქანის კონსტრუქციული გადაწყვეტა თავისით დაიბადა ტვინის რომელიღაც კუნთქულში და ხორცშესხმას ელოდა. შემდგომ აზროვნებას აზრი დაეკარგა და, ესკიზით ხელში, განყოფილების უფროსს მივადექი.

— ჩემი აზრით, ძალიან კარგი აზრი დამებდა და ახლა თქვენი აზრი მაინტერესებს ჩემს აზრზე — გამოვთქვი ჩემი აზრი.

— სწორი აზრია, — თქვა განყოფილების უფროსმა, ესკიზს მიაჩერდა, ყველაფერი გაიზარა და თქვა:

— ყველაფერი კარგია, გეთანხმებით, მხოლოდ მარტო ჩვენი აზრი არაფერს არ წარმოადგენს, თუ მას მთავარი ინჟინრის აზრიც არ დაემთხვა. წავიდეთ, ვაჩვენოთ!

— ჩემი აზრით, მე და კენჭაძეს ძალიან კარგი აზრი დაგვებადა, — უთხრა განყოფილების უფროსმა მთავარ ინჟინერს, — მაგრამ ჩვენს აზრს აზრი არ ექნება, თუ მას თქვენი აზრიც არ დაემთხვა.

— რა თქმა უნდა, — თქვა მთავარმა ინჟინერმა და ესკიზს მიაჩერდა.

— მშვენიერი აზრია, — თქვა მთავარმა ინჟინერმა, — მაგრამ ჩვენი აზრი, თავისთავად, არაფერს წარმოადგენს, თუ მას დირექტორის აზრიც არ დაემთხვა.

დირექტორი აზრზე არ იყო, მაგრამ ძეგ კარგად თამაშობდა ჭკვიანის როლს, რომ არავის აზრადაც არ მოსვლია — შტერიაო. ეს იყო მრავალმნიშვნელოვანი დუმის დიდი ოსტატი და უბალო ორატორი.

დირექტორი იჭდა და უაზროდ ერთ წერტილს მიშტერებოდა. სახე ნათლად მეტყველებდა მის გონებრივ შესაძლებლობებსა და მდიდარ შინაგან სამყაროზე.

— ჩემი აზრით, მე, ცხენოსანიძეს და კენჭაძეს ძალიან კარგი აზრი დაგვებადა, მაგრამ ჩვენი აზრი თავისთავად არაფერს არ წარმოადგენს, თუ მას თქვენი კომპეტენტური აზრიც არ დაემთხვა, — ჩამოაყალიბა აზრი მთავარმა ინჟინერმა.

— აზრების სხვადასხვაობაში იბადება ჭეშმარიტება, — თქვა დირექტორმა. — რაში მდგომარეობს თქვენი აზრი?

დირექტორი ესკიზს მიაშტერდა, ყველაფერი გაიზარა, მერე მრავალმნიშვნელოვანდ შემოგვებდა.

— უაზრობაა, — არ გაიზარა მან ჩვენი აზრი, — თქვენ რას იტყვით, ამხანაგო წიგნაძე? — ჰკითხა მთავარ ინჟინერს.

— მართალია, თამამი აზრია, მაგრამ...

— უფრო კონკრეტულად!

— მაგრამ განუხორციელებელი, — დააზუსტა აზრი მთავარმა ინჟინერმა.

— თქვენ რა აზრისა ხართ, ამხანაგო ცხენოსანიძე? — დირექტორი განყოფილების უფროსს მიაჩერდა.

— ჩემი აზრი თქვენს აზრს ემთხვევა.

— თქვენ რას გვეტყვით, ამხანაგო კენჭაძე?

— მე მაინც ჩემს აზრზე ვარ, — აზრი არ შევიცვალე მე.

— არავის არა აქვს უფლება, თავისი აზრი სხვას მოახვიოს. მე, ამხანაგი წიგნაძე და ამხანაგი ცხენოსანიძე თქვენზე გამოცდილები ვართ და, მე მგონი, ჩვენი აზრი ერთსულოვანია! — დირექტორმა მთავარ ინჟინერსა და განყოფილების უფროსს გადახედა. მათ თავი დაუკრეს.

— ჭეშმარიტება აზრთა სხვადასხვაობაში იბადება, — მოვიშველიე დირექტორის აზრი.

— ჭეშმარიტება არავინ იცის, სად არის, — თქვა დირექტორმა.

— ყველას თავისი აზრი აქვს, — მოვისაზრე მე.

— მეტი იაზროვნეთ! — დამარიგა დირექტორმა

— ვეცდები, — დავპირდი მე.


როცა ვართ გამოვედით, წიგნაძემ და ცხენოსანიძემ თვალი მომარიდეს.

— რას იზამ, დირექტორია და თავისი აზრი აქვს, — გამოთქვა აზრი განყოფილების უფროსმა.

— მთავარი მაგის აზრია, — თქვა მთავარმა ინჟინერმა.

მე აზრზე მოვედი. კარგი აზრები იშვიათად იბადება.

სიმონ ჯაფარიძე



— გოღიში, ბატონო, კა ხაყურაო აუზი იყო და, ხომ არ იცით, რა იქნა?!

მეყვება

შუალამის მეყდროება ტელეფონის ზარის წკრიალმა დაარღვია. ძლივს გამოერკვა ძილის ბურანიდან დაღლილი მწერალი. არც გაუხედავს ტელეფონისაკენ, ისე აიღო ყურმილი.

— დიას, გისმენთ! — დაბალ ხმაზე ჩაიბურტყუნა.

— ...

— გაგიმარჯოთ!

— ...

— ვერა, ვერ გიცანით.

— ...

— ვუკვირდები, მაგრამ...

— ...

— თქვენ არასოდეს არ იამლაპარაკებინართ, თორემ, ხმა მაინც გექნებოდათ ნაცნობი.

— ...

— მუზა?

— ...

— გმადლობთ, — პატივცემულო მუზა! არა მიშავს, ვცოდვილობ. თქვენ როგორ გიკით-

ხთ, ასე უნდა? ერთს არ გამოივლით, ერთხელაც არ გვეწვევით.

— ...

— რას ქვია, არ გინდათ შემაწუხოთ, ოჯახი, შვილი, ყველაფერი იმისათვის მინდა, რომ მოყვარეს მოყვრულად დავხვდი და მტერს — მტრულად.

— ...

— შემოქმედებას? არა უშავს, იწვის.

— რა დროს ტელეფონია ამ შუალამეს?! — წამოუხტა ცოლი.

— ვაი, შე საწყალო! — ჩაილაპარაკა მწერალმა.

მოკლედ, დიდხანს ილაპარაკეს სხვადასხვა საკითხებზე მწერალმა და მუზამ.

„მუზა, მუზა!“ — ჩუმად გაიმეორა მწერალმა და მაგიდას მიუჯდა. დილამდე წერდა და ათეთრებდა. დილას რედაქციისაკენ გასწია, სადაც მუშაობა დაეწყო მისი სკოლის მეგობარს... მუზა სესხიაშვილს.

ნომადი ბართაია

ბანსხალაბა

20 თებერვალს მივიღ ბათუმიდან ლექსი (N6 201731) წავიკითხე და ვერაფერი ვერცხე...



P. S. სამუქხატარო, ნინაძეც ვერ ამოიკითხა ტექსტი და დაბნეობდა მკითხველს თხოვს.



— ახსნათ რაზემუო, უნდა გავაფრთხილოთ, ახერ, გავაყვარებოთ, ხავერდის ამოღებოთ — კარგი თუ კარვ ჩაბო?


რატომ გაეხარა შახაჩი

პარის შაქრის კომინანტი თუ არ ვფიქვხართ, მის ნაწარმს მანე შეიძენილთ მადლიანო. არ ვიცი, თქვე როგორ მოგწონთ ქართული ჭარხლის პროდუქცია...

გენერალურ გეგმას ხორცი შეასხეს. ტბილულის მიყვარებულებმა 300-300 კოლოგრამი შაქარი სახლებში შეაძუებდნენ...

გალვა შახაჩილი

განცხადებები



1970 წლის 21 თებერვალს, 18 საათს და 15 წუთზე, გიორგი ერმალიანის ადვოკატებმა, მიიღეს კოლექტივი (20 კაცი) შუქიერობით რესტრონს 'კუშუ-ლუს' სახანტეო დარბაზში...

ლაბარნიის კომიტეტის თავმჯდომარის

გოხოთი სახელმწიფო ფანსი მომეცილოთ 1 (ერთი) იბღლიანი ლაბარნიის ბილეთი, რადგან უკვე მოვიფი 1 (ერთი) ვოლაგა...

უცხამაჟოხე რა ურჩიანა

წიუქანამ იმ სოლო კონცერტზე, ვიკებში რომ ჰქონდა იმ კვირას, მუღუღოლოც იქნა და დიდხანს იხტუნა...

კინალამ დალუქეს საწვალეო, კინალამ ჩაველს ხოციდომი, სცენაზე კეკელიც გამოსოღეს...

— რას იტყვი, ხომ ვეღერლი გიმოხე, ხომ მიხვდი, რა არის სიმღერა, მე ისეთ მწერვერებულზე ავედი...

მაგარამ მე რჩევითვის ირთსა გოხოთე, როდესაც მიეთლი ხმით გოქოცე, მიკროფონის უფრთხობილი...



— შენთან ბავშვის, ლტყი-უბოი იზნალო ვარაყვანს კარ-ნაბო ღე მუ თითხიბალო ბავშვი რა ბავშვი?

ღვე ხალიშო

წინასწარმეტველს წამებულის უღვა გვირგვინი: კოცონზე დაწევა, ძელზე გასმა, ლანხილე...

ტოლმანი — 1968

კანებეს იბოვლებენ, თმებს ირჩევენ მუ უფრო რაბე, მწიგებს ირჩევენ!

ტოლმანი — 1970

წელს იბმს მოღირალი ქალბეგიით იბლიან. ევერტები, ეწუებები — თავისას არ იბლიან!



— დღესანთე პარხეთე ვამეაჟე, ახალგაზრდა, ის ბებიი ცირღვით ხაჟე ბებიიბანი სღღ დღანუღუმბე!

მიხიეაჟუკეი

- საბარბამხარბოში — თმები გაგვრბოთ? — აბა! — წვერივ გაგვარბოთ? — აბა! — უღვაშებე შევისწორბოთ? — აბა! — მაგას ბრი მანებით უნდა! — თმები!

ამაღბე ტახაშვილი

ქარბი — შერბი! — დამეყვილა უკნიდა ვილცამ და, სიტყვის დამოაგრბამდე, ბრიბონის ქანდაგებესავით ვრო აღვილას გავგევილი. — ახლავე გიხიხიე ვეკლავფერი — რატომ, ტრტველი ხარ? — ვითხე მიუტრბალბეზღად — საქმეს ბირბდება — იყო პასუბი. ბავისდაც — საცელბეში! — გიხიხე კვლა ბარბანება — შერე, როგორ წვიდე! — სირბალით!

ჯ. ბავშვაშვილი



— რატომ ხელს არ აწერა აწერიბიბებე? — მუ საბაღლიბონი არ ბირბარბი!

პალბინა ჩახაქალაშვილი



(ტყის ბაღადა)

ერთ ქოდალას — ჭრელს და მარჯვეს
წიფლის ტყეში ედო ბინა.
დაეძებდა ჭია-ლუებს,
დღე და ღამე არ ეძინა.

დაერია მსუქან მატლებს,
ამოწმინდა ბევრი ხვრელი.
არც ბარტყები დაამშია,
საზრდო ჰქონდა თავსაყრელი.

ამ დროს ერთმა ბრიყვმა მაჩვმა,
რომ დაელო ურცხვად ხახა,
მიატოვა ბნელი სორო,
ჩვენს ქოდალას შეუძახა:

„ტყვიამფრქვევი ხომ არა ხარ,
არ გვასვენებ, ძილს არ გვაცლი,
მატლებს სანსლავე და სუქლები
სულ ეგ არის შენი ღვაწლი?“

ქოდალამ ბრიყვს უპასუხა:
„დღემდე რად ვერ შეიტყვეო,
მე რომ ჭიებს არა ვჭამდე,
გახმებოდა მთელი ტყეო!“


ბ. მახაური

მოწინააღმდეგენი კლუბში ერთმანეთს ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე
შე ხვდებიან. ისინი ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი შეადგენენ მხიარულთა გუნდს, მეორე
რენი — საზრიანთა გუნდს. მხიარულები ბევრნი არიან, საზრიანები — ცოტანი. მხიარ-
ულები მხიარულებენ, საზრიანები კი საზრიანობენ. საზრიანებს შეუძლიათ სულ ად-
ვილად დაამტკიცონ, რომ ორჯერ ორი ცხრაა, ან ოცდაშვიდი, ან იმდენი, რამდენიც თვი-
თონ სურთ. ამიტომ მხიარულები ყოველთვის აგებენ, საზრიანები — იგებენ. ეს ამბავი
ყველა მხიარულმა წინასწარ იცის. მართალია, საზრიანები იგებენ, მაგრამ პირში ჩალა-
გამოვლებულები არც მხიარულები რჩებიან. მათ შეხვედრებს არ ესწრება მაყურებელი
და არც ტელევიზიით აჩვენებენ, ისინი მაინც იკრიბებიან. მხიარულები გაუთავებლად
ყაყაანებენ, საზრიანები ჩუმად არიან. ერთ საზრიანს შეუძლია ერთდროულად შეხვდეს
ათ, ოც და მეტ მხიარულს და ყველას მოუგოს. არა ჰყავთ მუდმივი ჟიური, მაგრამ ხან-
დახან, როცა კი იგი საქმეში ჩაერევა, საზრიანებს ანგარიში ერევათ.

თუ ფული არა გაქვს, ვერც მხიარულებში მოხვდები და ვერც საზრიანებში.
შეხვედრის ბოლოს საზრიანები კლუბში რჩებიან, მხიარულებიდან კი ზოგი თვითონ
მიდის, ზოგიც მიაქვთ.
მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, ანუ რესტორანი, გვიან ღამემდე მუშაობს.

იასონ თმღიაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა



მშვენიერი გამოგონებაა, თორღ ერთი ნაკლი აქვს: ხმო
არ უჩნდება.

პარგია, როსა მეზობელი გყავს!

ჩემს მეზობელს აგური ჩამოუტანეს. რაღაც უნდა აე-
მენებინა. აგური ქუჩაში დაყარეს. მანქანა წავიდა. სახლ-
ში არავინ ჰყავდა და მარტოკას მოუხდა ეზოში შეზიდვა.
სამინლად ცხელოდა. მეზობელს ოფლი წურწურით ჩა-
მოსდიოდა. შემეცოდა. მით უმეტეს, ცალი ხელი ტკიო-
და. ფარდა ოდნავ გადაწეული მქონდა და ეზოში ვიყურე-
ბოდი. ერთი საათის მერე ჩემი მეზობელი სულის მოსათქ-
მელად კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და, რატომღაც, ჩემი
ფანჯრისაკენ გამოიხედა, ფარდა სასწრაფოდ გადავწიე
„კარგი საქმეა, — გავიფიქრე მე, — ხვალ რომ ტანკი ჩა-
მოუტანონ, ისიც მე უნდა ვათრიო, მეტი საქმე არა მაქვს“.
უსაქმურობამ დამალა და წამოვწყვიტი. ერთი საათის შემ-
დეგ ისევ გადავწიე ფარდა. ნახევარზე მეტი აგური გადა-
ეტანა, მაგრამ, ეტყობოდა, ძლივს იდგა ფეხზე. ისევ
გამოიხედა ჩემი ფანჯრისაკენ. ნერვები მომეშალა: „უსინ-
დისო! ჯერ ისიც გაუგებარია, რა მაქინაციებით შეიძინა.
არა მშაო, მე რატომ უნდა გავერიო ამ ჭუჭყიან საქმე-
ში?“. არა და არ გამოვდიოდი ეზოში. როცა რამდენიმე
აგური დარჩა, მხოლოდ მაშინ გადავწყვიტე გამოვჩინე-
ლიყავი. მეზობელს ხელში ერთი აგური ეჭირა და ძლივს-
ლა მილასლასებდა.

— ცხელა! — ვთქვი და სიგარეტი გავაბოლე.
თმები სახეზე ჩამომშლოდა და მისი გამოხედვა ვერ
შევნიშნე.
— ახლა რა სჯობს ცივ ლუდს! — ვთქვი და ისევ გავა-
ბოლე.
მეზობელი ჩემს წინ გაჩერდა და ხელი ჯიბეში ჩაიყო.
— დანას დამარტყამს, — გამიელვა თავში, — აგურის-
თვის უნდა დავიღუპო?
თვალეები დავხუჭე და წასაქცევად მოვემზადე. მაგრამ
ვგრძნობდი, არაფერი ხდებოდა. თვალეები გავახილე. მე-
ზობელი სახეს იწმენდა.
— იცი რა? — მითხრა მან, — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ
ძალიან დავილაღე, შედი ჩემს ოთახში, მაცივარში ლუდი
მაქვს, დალიე!
ცოტა ხნის შემდეგ მე და ჩემი მეზობელი ვისხედით
აივანზე და ცივ ლუდს მივირთმევდით, თანაც ტკბილად
ვმასლათობდით. საუცხოო გუნებაზე ვიყავი. კარგია,
როცა მეზობელი გყავს.

ანდრო კოკოლია

ნახ. ა. პრაქისა



— აქეთ, კაცო!

ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

(თანამედროვე შემოკლებული ვარიანტი)



— ჯამაგირი არ მაინტერესებს, რამე ფულიანი კაბილი მაშოვნინემ!

მოყმემ თქვა ჟურნალისტთაგან: შიბნ გავიარენ კლდისანი, მოვინადირენ, დავლახენ, ბილიკნი ცხოვრებისანი... შამამხვდეს კლდისა თავზედა ხორო კომბინატორების, ვეფხე რეკავს: „თით არ დააწო, თორო მაგხვდების ტორები!“ შავვარდი ვეფხვის კაბინეტს, დრონ იყენენ შუაღდისანი, ვეფხვი რომ წამამიფრინდა, თვალნი მარისხნა ხთისანი.

შიბნეს ვეფხვი. მოყმეი, დაიდრნეს კამისიანი, ვეფხვს ზევით მრავლად ეგულვის შინაურ-თავისიანი. მოყმე ფაქტს ფარობს... ვერ ფარავს, ვეფხვმა დაადო ნიშანი, სკამით გაართვა ჯაფშანი — ჯაჭვისა სიმართლისანი. მოყმემან ხელში იყარნა ვადანი თავის ხმლისანი, მაშინ გაუჭრა კალამმა, დრონ იყენეს წაქცევისანი, მაგრამ გულს გადმეკიდა, დარტყმა ხვდა ინფარქტისანი. ძლივსლა შამაწვა ლოგინზე მოყმე — სულამამდინარი, შერჩა „შპიონის“ სახელი, წყალ ვერ გარეცხავს მდინარის!..

იოსებ მაჰარაშვილი (ქ. საჩხერე)

გაუპოთა სხლის ღირეკორს


უნათლო უზვილოგლიშვილის განცხადება მოგახსენებთ, რომ ვარ დასავლეთ საქართველოს სოფელ სანათლოს მკვიდრი. ჩემი წლოვანება ორმოცდაათს აღწევს, ცოლისა (თუ არ გყუის) — ორმოცდახუთს. მიუხედავად იმისა, რომ პრესაში და რადიო-ტელევიზიით ბევრს ლაპარაკობენ მრავალშვილიანობის შესახებ, შვილი არა მყავს. როდესაც ექიმ-გინეკოლოგს მივმართე თხოვნით, რაგომ არ მიჩნდება ბავშვი-მეთქი, მან მიპასუხა: შვილი შენ არც გეყოლებოდა, არც-გყავს და არც გეყოლებოდა. ეს არაფერი. საქმე სულ სხვაა. ჩემმა მეზობლებმა ჩემზე უკეთესად იციან ჩემი უშვილობის ამბავი, ამიტომ ყველა მჯაბნის და მპატიჟებს ბავშვის ნათლობაში, რომელიც ისე გახშირდა, გამოფხიზლებას ვერ ვასწრებ. ძალიან გთხოვთ, სწორად გაიგოთ ჩემი მდგომარეობა. თქვენ შეიძლება გაგეცინოთ და ისეთი დასკვნა გამოიგანოთ, რომ მე ბავშვები მძულს. პირიქით, ძალიან მიყვარს ჩვენი ცხოვრების ყვეფილება. მართალია, არ მყავს ისინი, მაგრამ ზეპირად ვიცი, რამდენი ბავშვი იბადება ჩვენს ქვეყანაში ათას სულ მოსახლეზე. ძლიერ განვიცდი იმ ამბავსაც, რომ, ამ ბოლო წლებში, მოქალაქეთა დაუდევრობის შედეგად ეს რიცხვი შემცირდა, მაგრამ თქვენ უფრო მოგახსენებთ, რომ ასეთი რამ მხოლოდ ქალაქში ხდება, სადაც ადამიანები ფუფუნებაში ცხოვრობენ და შვილებზე ნაკლებად ფიქრობენ.

ჩვენს სოფელში, რომელიც მეგად თბილსა და კლიმატურ სარტყელში მდებარეობს, სხვანაირადაა საქმე: აქაურ ცხრა სულ მოსახლეზე წელიწადში ოთხმოცი ბავშვი იბადება. ღმერთმა ათასი დაბადოს! მე არ ვარ ამის წინააღმდეგი. საერთოდ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ადამის ყველა შთამომავალს, რომელიც ქრისტიანულ სამყაროს ეკუთვნის, მონათვლა სჭირდება. მე არც ამის წინააღმდეგი ვარ. მაგრამ, აბა, რა არის მართლა: ყველა ნათლობაში მე მპატიჟებენ? სამ დღეში ერთხელ, მაქვს თუ არა მაქვს ფული, ვიღებ ვალს და მივდივარ ბავშვის მონათლავად. იქ კი, როგორც კარგ რესტორანში, არც მეტი არც ნაკლები, 50 მანეთი უნდა დავგოვო. თუ არ დავგოვებ, მეორე დღეს მთელი სოფელი დამემდურება და ლანძღვას დამიწყებს. არა და, გავდარბიდი კაცი. ათი წელიწადია, რაც ჩემი ოჯახი ეკონომიურად ნადგურდება. არაოფიციალური მონაცემებით, ნათლობებში უკვე გადახდილი მაქვს 35 ათასი მანეთი, ხოლო ოფიციალური ცნობების საფუძველზე, საეკლესიო ფონდში ჯვრებისა და სანთლების შესაძენად შევიგანე 10.950 მანეთი.

პატივცემულო დირექტორო! ჩემი სასომისდილი თხოვნაა, ერთი პაწაწინგელა ბავშვი მომაშვილოთ. არ დავებებ: მახინჯი იქნება თუ ლამაზი, ბიჭი იქნება თუ გოგო. არც ფერს ვკითხულობ. თეთრი იქნება თუ შავი, ოღონდ მოუნათლავი იყოს. მე კი არ მოვნათლავ... ვიცი მეზობლების ამბავი, არავინ არაფერს მომიგანს და გაწეული ხარჯებიც ვალად დამედება. მოუნათლავი მეყოლება და შიშით ნათლობაში არავინ დამპატიჟებს.

რაულ გაუპოვილი

ნ.ბ. ზ. ვირცხალავასი



— ბინით ვერ ვარ მაინცდამაინც კმაყოფილი, სამკვირვოდ ტელეფონი მაქვს.



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მღივანეი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაფონია, გ. ნიუნანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ზვილიძე.

საბირისა და იუმორი. შურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი: პროსპექტი № 42.

Тбилисти, Сатирико-юмористический журнал «Нiangи». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.

საერთო განყოფილების 93-10-78.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაფრთხავად 26/III-70 წ.

ხელმოწერილია დასაბამლად 23/IV-70 წ.

ჭალალდის ზომა 70x108 1/8.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,

პროკორით ნაბეჭდი ფურცელი 1,4.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,

თბილისი, ლენინის ქ. № 14.


ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

შპპ. № 1011. შპ № 02051.


ტირაჟი 125.900



КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ



ამერიკის შეერთებულ შტატებში, კენედის კონცხიდან, გაუშვეს დედამიწაზე ხელოვნური თანამგზავრი — „ნატო-1“. რომელიც ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში შემავალ სახელმწიფოებს ერთმანეთთან დააქვეშირებს.



— შეხედეთ ამ უსინდისოს, დედამიწაზე ჯაშუ-
 შობა არ იკვარა და ახლა კოსმოსსაც იეჭვია!

